MED EL

გაკვეთილების კრებული

21 ფორმები და რიცხვები



hearLIFE

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. საათი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. ფორმის მიხედვით დალაგება

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ფორმები და რიცხვები: პირველი დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ვსწავლობთ დათვლას სიმღერით **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას წინადადების ბოლოს	• იმეორებს გარითმულ სიტყვებს	• ცნობს ზოგიერთ რიცხვს
თავსატეხი ბარათები რიცხვებით **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 ნაწილი 1, ნაწილი 2, ნაწილი 3, ნაწილი 4	• იგებს რიცხვების მნიშვნელობას: 1, 2, 3 • ახდენს არსებითი სახელების იდენტიფიცირებას	• ამბობს რიცხვებს: 1, 2, 3 • აკეთებს არსებითი სახელების აღნიშვნას	• ამთხვევს საგნების რაოდენობას რიცხვთან
საათი **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 - რიცხვები	• მიჰყვება ზმნის შემცველ მარტივ ინსტრუქციებს	• ცნობს ზოგიერთ რიცხვს • ამბობს "სხვა" (ერთი)	• იცის როგორ გააკეთოს საქმე თანმიმდევრულად
ფორმის მიხედვით დალაგება **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 - დახარისხების დაფა	• იწყებს ფორმების გაგებას	• იყენებს ზოგიერთ ფორმას	• ესმის, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ სამგანზომილებიანი ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ფორმები და რიცხვები: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ვსწავლობთ დათვლას სიმღერით **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1	• ითვისებს და მოსწონს გარითმული კუპლეტები	• იმეორებს 2-3 სიტყვას: თითო სტრიქონიდან	• ცნობს რიცხვებს: 5-მდე
თავსატეხი ბარათები რიცხვებით **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 ნაწილი 1, ნაწილი 2	• იგებს რიცხვების მნიშვნელობას: 1-დან 6-მდე • ახდენს იდენტიფიცირებას: რიცხვი + არსებითი სახელი	• ამბობს: რიცხვი + არსებითი სახელი • იყენებს მრავლობით რიცხვს	• ამთხვევს საგნების რაოდენობას რიცხვთან
საათი **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 - რიცხვები	• მიჰყვება ორ მარტივ მითითებას, რომელიც დაკავშირებულია სიტყვებით "და შემდეგ"	• ამბობს: ფერი + ფორმა • ამბობს: რიცხვი + საათი	• იცის როგორ გააკეთოს საქმე თანმიმდევრულად
ფორმის მიხედვით დალაგება **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 - დახარისხების დაფა	• ცნობს ფორმებს	• ამბობს ფორმებს • შეუძლია შეუსაბამოს საგანს ფორმა	• ესმის, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ სამგანზომილებიანი ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ფორმები და რიცხვები: მესამე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ვსწავლობთ დათვლას სიმღერით **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1	• შეუძლია გარითმოს სიტყვები	• იმეორებს ყველა სიტყვას თითოეულ გვერდზე	• ცნობს რიცხვებს: 10-მდე
თავსატეხი ბარათები რიცხვებით **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ3 ა2	• იგებს რიცხვების მნიშვნელობას: 1-დან 12-მდე • იგებს მნიშვნელობას: -მდე/შემდეგ/-ზე მეტი/ ნაკლები ვიდრე	• ამბობს რიცხვებს: 1-დან 12-მდე • იყენებს სიტყვებს "-ზე მეტი" "ნაკლები ვიდრე"	• ამთხვევს საგნების რაოდენობას რიცხვთან
საათი **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 - რიცხვები	• მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს "-მდე/შემდეგ"	• ამბობს რიცხვს + ფერს + ფორმას • ამბობს ნახევარი (საათის)	• იგებს მნიშვნელობას: პირველი/ბოლო
ფორმის მიხედვით დალაგება **რესურსები** • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 • ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 - დახარისხების დაფა	• იყენებს უარყოფით ნაწილაკებს: არა/არც	• იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს უარყოფით ნაწილაკებს • საგნის აღსაწერად იყენებს სიტყვებს "ფორმის მსგავსს"	• ესმის, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ სამგანზომილებიანი ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და დაალაგეთ გვერდები მაგიდაზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ აპირებთ სიმღერების წიგნის ერთად დამზადებას და წაკითხვას.

1. აიღეთ სათაურის გვერდი და ისაუბრეთ რიცხვებზე.
2. იპოვეთ პირველი გვერდი: "ერთი, ორი - შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი." წაიმღერეთ სიტყვები, აჩვენეთ ბავშვს ეს გვერდი წიგნში და დაელოდეთ, სანამ იგი შეეცდება ერთი ან მეტი სიტყვის გამეორებას, შემდეგ კი განათავსეთ ეს გვერდი სათაურის გვერდის ქვეშ.
3. გაიმეორეთ იგივე ყველა მომდევნო გვერდზე, ჯერ იმღერეთ, შემდეგ აჩვენეთ გვერდი და დაელოდეთ.
4. ბოლო გვერდზე კარგად დააკვირდით რაკეტას და ისაუბრეთ იმ ფორმებზე, რომლებსაც ხედავთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას წინადადების ბოლოს.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: საბავშვო სიმღერები და ლექსები წარმოადგენს სიტყვებისა და გრამატიკული წყობის აკუსტიკური აქცენტირების ბუნებრივ ხერხს. ძლიერი რიტმი და ინტონაცია იპყრობს ბავშვის ყურადღებას და ეხმარება მას ახალი სიტყვების დამახსოვრებაში. გააკეთეთ პაუზა ყოველი რიცხვის წარმოთქმის შემდეგ. სიტყვის შემდეგ პაუზის გაკეთება აკუსტიკური აქცენტირების კარგი მეთოდია და ამ სიმღერაშიც ის ასევე დაგეხმარებათ გამოყოთ ჯერ მახვილიანი, ხოლო შემდეგ უმახვილო მარცვალი მომდევნო ზმნურ ფრაზაში. ერთი….. ორი… შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი….

ყურადღებით მოუსმინე: სანამ მაგიდაზე განთავსებულია ყველა გვერდი, თქვენ გაქვთ კარგი შესაძლებლობა, რომ მიაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია მოსმენის საშუალებით. ამისათვის წაიმღერეთ სტრიქონი მანამდე, სანამ გვერდს აიღებთ. შემდეგ კვლავ იმღერეთ, როდესაც აიღებთ გვერდს და შემდეგ კიდევ ერთხელ, როდესაც ამ გვერდს დადებთ წიგნის სხვა გვერდების უკან.

მოსალოდნელი შედეგები

- ამიმეორებს ბობს გარითმულ სიტყვებს. მაგალითად. ორი, ფეხსაცმელი.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: გააკეთეთ პაუზა თითოეულ გვერდზე მოცემული რიცხვების შემდეგ და დაანახეთ ბავშვს თქვენი "მომლოდინეს მზერა". დაიხარეთ მისკენ, ასწიეთ წარბები და წაახალისეთ გამამხნევებელი ღიმილით, ამით თქვენ გასაგებად აგრძნობინებთ, რომ მისი თქმის ჯერია. თუ ბავშვი არ ლაპარაკობს, დაიხმარეთ მისი მშობელი/აღმზრდელი, რომ წარმოთქვას ის სიტყვები, რომლის გამეორებასაც ელით ბავშვისგან, შემდეგ თქვენ თვითონ კვლავ გაიმეორეთ და მიეცით ბავშვს გამეორების საშუალება.

სმენითი დასრულება: როდესაც ბავშვი კარგად გაეცნობა სიმღერას, შეეცადეთ გამოიყენოთ სმენითი დასრულების მეთოდი, რათა დაეხმაროთ მას ზმნური ფრაზის ბოლო სიტყვის დასრულებაში. გარითმული კუპლეტები აადვილებს საჭირო სიტყვის დამახსოვრებას. აუხსენით მშობელს/აღმზრდელს, რომ ჯერ თქვენ იმღერებთ, მერე მასთან ერთად გაჩერდებით ბოლო სიტყვის წინ და დაელოდებით ბავშვის მიერ კუპლეტის დასრულებას. სამი … ოთხი … დააკაკუნე …

მოსალოდნელი შედეგები

- ცნობს ზოგიერთ რიცხვს.

ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მიუთითეთ და ისაუბრეთ სათაურის გვერდზე არსებულ რიცხვებზე. შემდეგ, როდესაც უკუღმა დაითვლით, უფრო დრამატულად გამოყავით რიცხვები. დაასრულეთ ფრაზა მღელვარე ტონით და შეგიძლიათ წიგნი ჰაერში ააფრინოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და დაალაგეთ გვერდები მაგიდაზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები d1 d2 d3 a1
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ აპირებთ სიმღერების წიგნის ერთად დამზადებას და წაკითხვას.

1. აიღეთ სათაურის გვერდი და ისაუბრეთ რიცხვებზე.
2. იპოვეთ პირველი გვერდი: "ერთი, ორი - შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი." წაიმღერეთ სიტყვები, აჩვენეთ ბავშვს ეს გვერდი წიგნში და დაელოდეთ, სანამ იგი შეეცდება ერთი ან მეტი სიტყვის გამეორებას, შემდეგ კი განათავსეთ ეს გვერდი სათაურის გვერდის ქვეშ.
3. გაიმეორეთ იგივე ყველა მომდევნო გვერდზე, ჯერ იმღერეთ, შემდეგ აჩვენეთ გვერდი და დაელოდეთ.
4. ბოლო გვერდზე კარგად დააკვირდით რაკეტას და ისაუბრეთ იმ ფორმებზე, რომლებსაც ხედავთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს და მოსწონს გარითმული კუპლეტები. ორი… ფეხსაცმელი. ოთხი… კარი.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: საბავშვო სიმღერები და ლექსები წარმოადგენს სიტყვებისა და გრამატიკული წყობის აკუსტიკური აქცენტირების ბუნებრივ ხერხს. ძლიერი რიტმი და ინტონაცია იპყრობს ბავშვის ყურადღებას და ეხმარება მას ახალი სიტყვების დამახსოვრებაში. გააკეთეთ პაუზა ყოველი რიცხვის წარმოთქმის შემდეგ. სიტყვის შემდეგ პაუზის გაკეთება აკუსტიკური აქცენტირების კარგი მეთოდია და ამ სიმღერაშიც ის ასევე დაგეხმარებათ გამოყოთ ჯერ მახვილიანი, ხოლო შემდეგ უმახვილო მარცვალი მომდევნო ზმნურ ფრაზაში. ერთი….. ორი… შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი….

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: სანამ მაგიდაზე განთავსებულია ყველა გვერდი, თქვენ გაქვთ კარგი შესაძლებლობა, რომ მიაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია მოსმენის საშუალებით. ამისათვის წაიმღერეთ სტრიქონი მანამდე, სანამ გვერდს აიღებთ. გამოყავით რითმული სიტყვები და დაუმატეთ ამ რითმულ სიტყვებს სხეულის მცირე მოძრაობები, რათა მიიპყროთ ბავშვის ყურადღება ამ სიტყვების მსგავსებაზე. რითმის გაგება და მისი აყოლა - წიგნიერებამდელი უნარია.

მოსალოდნელი შედეგები

- თითო სტრიქონიდან იმეორებს 2-3 სიტყვას. მაგალითად, ერთი … ორი … / შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: გააკეთეთ პაუზა თითოეულ გვერდზე მოცემული რიცხვების შემდეგ და დაანახეთ ბავშვს თქვენი "მომლოდინეს მზერა". დაიხარეთ მისკენ, ასწიეთ წარბები და წაახალისეთ გამამხნევებელი ღიმილით, ამით თქვენ გასაგებად აგრძნობინებთ, რომ მისი თქმის ჯერია. დაიხმარეთ მისი მშობელი/აღმზრდელი, რომ წარმოთქვას ის სიტყვები, რომლის გამეორებასაც ელით ბავშვისგან, შემდეგ თქვენ თვითონ კვლავ გაიმეორეთ და მიეცით ბავშვს გამეორების საშუალება.

სმენითი დასრულება: როდესაც ბავშვი კარგად გაეცნობა სიმღერას, შეეცადეთ გამოიყენოთ სმენითი დასრულების მეთოდი, რათა დაეხმაროთ მას ზმნური ფრაზის ბოლო ორი სიტყვის დასრულებაში. გარითმული კუპლეტები აადვილებს ბოლო სიტყვის დამახსოვრებას. აუხსენით მშობელს/აღმზრდელს, რომ ჯერ თქვენ იმღერებთ პირველ სიტყვას, მერე მასთან ერთად გაჩერდებით და დაელოდებით ბავშვის მიერ კუპლეტის დასრულებას. სამი … ოთხი … დააკაკუნე …

მოსალოდნელი შედეგები

- ცნობს რიცხვებს: 5-მდე

ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მიუთითეთ და ისაუბრეთ სათაურის გვერდზე არსებულ რიცხვებზე. შემდეგ, როდესაც უკუღმა დაითვლით, უფრო დრამატულად გამოყავით რიცხვები. დაასრულეთ ფრაზა მღელვარე ტონით და შეგიძლიათ წიგნი ჰაერში ააფრინოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და დაალაგეთ გვერდები მაგიდაზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები d1 d2 d3 a1
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ აპირებთ სიმღერების წიგნის ერთად დამზადებას და წაკითხვას.

1. აიღეთ სათაურის გვერდი და ისაუბრეთ რიცხვებზე.
2. იპოვეთ პირველი გვერდი: "ერთი, ორი - შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი." წაიმღერეთ სიტყვები, აჩვენეთ ბავშვს ეს გვერდი წიგნში და დაელოდეთ, სანამ იგი შეეცდება ერთი ან მეტი სიტყვის გამეორებას, შემდეგ კი განათავსეთ ეს გვერდი სათაურის გვერდის ქვეშ.
3. გაიმეორეთ იგივე ყველა მომდევნო გვერდზე, ჯერ იმღერეთ, შემდეგ აჩვენეთ გვერდი და დაელოდეთ.
4. ბოლო გვერდზე კარგად დააკვირდით რაკეტას და ისაუბრეთ იმ ფორმებზე, რომლებსაც ხედავთ.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია გარითმოს სიტყვები. ორი… ფეხსაცმელი ოთხი… კარი.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: საბავშვო სიმღერები და ლექსები წარმოადგენს სიტყვებისა და გრამატიკული წყობის აკუსტიკური აქცენტირების ბუნებრივ ხერხს. ძლიერი რიტმი და ინტონაცია იპყრობს ბავშვის ყურადღებას და ეხმარება მას ახალი სიტყვების დამახსოვრებაში.

სმენითი დასრულება: როდესაც ბავშვი კარგად გაეცნობა სიმღერაში გარითმვის პრინციპს, შეეცადეთ გამოიყენოთ სმენითი დასრულების მეთოდი, რათა დაეხმაროთ მას ზმნური ფრაზის ბოლო სიტყვის დასრულებაში. აუხსენით მშობელს/აღმზრდელს, რომ ჯერ თქვენ იმღერებთ პირველ რამდენიმე სიტყვას, მერე მასთან ერთად გაჩერდებით და დაელოდებით ბავშვის მიერ კუპლეტის დასრულებას. სამი … ოთხი … დააკაკუნე … გარითმვა არის სმენის უნარი. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა ერთნაირად ჟღერს სიტყვების დაბოლოებები. რითმის შედგენა არის წიგნიერების უნარი.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ყველა სიტყვას თითოეულ გვერდზე.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: გააკეთეთ პაუზა თითოეულ გვერდზე მოცემული რიცხვების შემდეგ და დაანახეთ ბავშვს თქვენი "მომლოდინეს მზერა". დაიხარეთ მისკენ, ასწიეთ წარბები და წაახალისეთ გამამხნევებელი ღიმილით, ამით თქვენ გასაგებად აგრძნობინებთ, რომ მისი თქმის ჯერია.

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: სანამ მაგიდაზე განთავსებულია ყველა გვერდი, თქვენ გაქვთ კარგი შესაძლებლობა, რომ მიაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია მოსმენის საშუალებით. ამისათვის წაიმღერეთ სტრიქონი მანამდე, სანამ გვერდს აიღებთ. გამოყავით რითმული სიტყვები და დაუმატეთ ამ რითმულ სიტყვებს სხეულის მცირე მოძრაობები, რათა მიიპყროთ ბავშვის ყურადღება ამ სიტყვების მსგავსებაზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ცნობს რიცხვებს: 10-მდე.

ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მიუთითეთ და ისაუბრეთ სათაურის გვერდზე არსებულ რიცხვებზე. შემდეგ, როდესაც უკუღმა დაითვლით, უფრო დრამატულად გამოყავით რიცხვები. დაასრულეთ ფრაზა მღელვარე ტონით და შეგიძლიათ წიგნი ჰაერში ააფრინოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

ერთი, ორი - შემიკარი ჩემი ფეხსაცმელი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



სამი, ოთხი - დახურე კარი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



ხუთი, ექვსი - აიღე ჯოხები.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



შვიდი, რვა - მიყოლებით დაალაგე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



ცხრა, ათი, დიდი მსუქანი ქათამი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



ახლა მოდი კიდევ ერთხელ
დავითვალოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

10

9

8

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

7

6

5

4

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით

3

2

1

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ვსწავლობთ დათვლას სიმღერით



აფრინდი!

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე. დაბეჭდეთ 2 გვერდი ერთზე, რომ თავსატეხის ბარათები პატარა გამოვიდეს. ამოჭერით თავსატეხის ყველა ნაწილი და დაახარისხეთ რიცხვებად და სურათებად.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 ნაწილი 1, ნაწილი 2, ნაწილი 3, ნაწილი 4
- მაკრატელი

თქვენ უნდა შეუსაბამოთ სურათებიანი ბარათები რიცხვებიან ბარათებს.

1. აურიეთ სურათებიანი ბარათები და დააწყვეთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
2. ბავშვთან ერთად დააჯგუფეთ რიცხვებიანი ბარათები ისე, რომ ყველა რიცხვი 1 იყოს ერთად, ყველა რიცხვი 2 იყოს ერთად და ყველა რიცხვი 3 ასევე იყოს ერთად. ისაუბრეთ თითოეულ რიცხვზე, როდესაც მათ თავიანთ ჯგუფში ათავსებთ.
3. აიღეთ სურათიანი ბარათი. სხვებისთვის ჩვენების გარეშე ისაუბრეთ სურათზე და შემდეგ იმაზე, თუ რამდენი სურათი გაქვთ. იპოვეთ შესატყვისი რიცხვი და ააწყეთ თქვენი თავსატეხი.
4. რიგრიგობით აიღეთ სურათიანი ბარათი, სანამ ყველა წყვილი არ მოიძებნება.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის რიცხვების მნიშვნელობა: 1, 2, 3
- ახდენს არსებითი სახელების იდენტიფიცირებას.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათიანი ბარათის აღებისას დამალეთ სხვებისგან მასზე გამოსახული სურათი, რათა შეძლოთ მასზე საუბარი მის ჩვენებამდე. ეს მეთოდი ააქტიურებს ტვინის აუდიტორულ ცენტრებს და ხელს უწყობს სმენის ყურადღებას. როგორც კი ბავშვი ნახულობს სურათს, მისი ყურადღება იყოფა ყურებასა და მოსმენაზე.

სმენითი სენდვიჩი: ბავშვის ბარათის ჩვენება ხელს უწყობს მას გაიაზროს ის სიტყვები, რომლებიც ჯერ მოსმენილია, ხოლო მერე დანახული. მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ სიტყვები ბარათის ჩვენების შემდეგ. მე მყავს რამდენიმე ჭიანჭველა... აქ არის ორი ცალი. ნახე... მე მყავს ორი ჭიანჭველა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ რიცხვი 2.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს რიცხვებს: 1, 2, 3
- აკეთებს არსებითი სახელების აღნიშვნას. მაგალითად, სპილო, ყვავილი.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც დგება ბავშვის მოქმედების ჯერი, ამ აქტივობაში შეიძლება მოგიწიოთ შესაბამისი აზრის გამოსახატავად საჭირო სალაპარაკო ენის მოდელირება მანამ, სანამ ის არ შეძლებს სიტყვების დამოუკიდებლად თქმას. ჰმ, ისინი ჰგვანან მაიმუნებს. უთხარი დედას, რომ ... შენ გყავს მაიმუნი. ახლა მოდი კიდევ ერთხელ დავითვალოთ ...ერთი, ორი. უთხარი დედას, რომ ... შენ გყავს ორი ...მაიმუნი.

საბოტაჟი: განათავსეთ რიცხვებიანი ბარათები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, რათა მათ გამოიყენონ სიტყვები მათთვის სასურველი ბარათის მისაღებად.

მოსალოდნელი შედეგები

- ამთხვევს საგნების რაოდენობას რიცხვთან.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: საგნების რაოდენობის რიცხვთან დამთხვევა უფრო რთული უნარია, ვიდრე რიცხვების დათვლა ან ამოცნობა. ისაუბრეთ ამაზე ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან, რათა ბავშმა გაიგონ სხვადასხვა უნარების შესახებ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე. დაბეჭდეთ 2 გვერდი ერთზე, რომ თავსატეხის ბარათები პატარა გამოვიდეს. ამოჭერით თავსატეხის ყველა ნაწილი და დაახარისხეთ რიცხვებად და სურათებად.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 ნაწილი 1, ნაწილი 2
- მაკრატელი

თქვენ უნდა შეუსაბამოთ სურათებიანი ბარათები რიცხვებიან ბარათებს.

1. აურიეთ სურათებიანი ბარათები და დააწყვეთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
2. ბავშვთან ერთად დააჯგუფეთ რიცხვებიანი ბარათები ისე, რომ ყველა რიცხვი 1 იყოს ერთად, ყველა რიცხვი 2 იყოს ერთად და ასე შემდეგ. ისაუბრეთ თითოეულ რიცხვზე, როდესაც მათ თავიანთ ჯგუფში ათავსებთ.
3. აიღეთ სურათიანი ბარათი. სხვებისთვის ბარათების ჩვენების გარეშე აღწერეთ სურათი რიცხვის + არსებითი სახელის გამოყენებით. იპოვეთ შესატყვისი რიცხვი და ააწყეთ თქვენი თავსატეხი.
4. რიგრიგობით აიღეთ სურათიანი ბარათი, სანამ ყველა წყვილი არ მოიძებნება.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის რიცხვების მნიშვნელობა: 1-დან 6-მდე.
- ახდენს იდენტიფიცირებას: რიცხვი + არსებითი სახელი. მაგალითად, 4 სტაფილო.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათიანი ბარათის აღებისას დამალეთ სხვებისგან მასზე გამოსახული სურათი, რათა შეძლოთ მასზე საუბარი მის ჩვენებამდე. ეს მეთოდი ააქტიურებს ტვინის აუდიტორულ ცენტრებს და ხელს უწყობს სმენის ყურადღებას. როგორც კი ბავშვი ნახულობს სურათს, მისი ყურადღება იყოფა ყურებასა და მოსმენაზე. კარგი, ეხლა უნდა დავითვალო. ჰმ მე მყავს 6 ვეშაპი.

სმენითი სენდვიჩი: ბავშვის ბარათის ჩვენება ხელს უწყობს მას გაიაზროს ის სიტყვები, რომლებიც ჯერ მოსმენილია, ხოლო მერე დანახული. მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ სიტყვები ბარათის ჩვენების შემდეგ. მე მაქვს 2 ქუდი … ნახე… ეხლა ჩვენ უნდა ვიპოვოთ 2 ქუდის შესაბამისი რიცხვი 2 .

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს რიცხვს + არსებით სახელის, მაგალითად 3 ფეხსაცმელი.
- იყენებს მრავლობით რიცხვს; მაგალითად ქუდები.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც დგება ბავშვის მოქმედების ჯერი, ამ აქტივობაში შეიძლება მოგიწიოთ შესაბამისი აზრის გამოსახატავად საჭირო სალაპარაკო ენის მოდელირება მანამ, სანამ ის არ დამოუკიდებლად არ გამოთქვამს როგორც რიცხვს, ისე არსებით სახელს. ჰმ, კი, ისინი მაიმუნები არიან. მათი დათვლა მოგიწევს. დაიწყე, ერთი, ორი, სამი, ოთხი. ახლა უთხარი დედას, რომ … შენ გყავს ოთხი მაიმუნი.

საბოტაჟი: განათავსეთ რიცხვებიანი ბარათები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, რათა მათ გამოიყენონ სიტყვები მათთვის სასურველი ბარათის მისაღებად.

მოსალოდნელი შედეგები

- ამთხვევს საგნების რაოდენობას რიცხვთან.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: საგნების რაოდენობის რიცხვთან დამთხვევა უფრო რთული უნარია, ვიდრე რიცხვების დათვლა ან ამოცნობა. ისაუბრეთ ამაზე ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან, რათა ბავშმა გაიგონ სხვადასხვა უნარების შესახებ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე. დაბეჭდეთ 2 გვერდი ერთზე, რომ თავსატეხის ბარათები პატარა გამოვიდეს. ამოჭერით თავსატეხის ყველა ნაწილი და დაახარისხეთ რიცხვებად და სურათებად. გაჭერით ქაღალდი შუაზე და დადეთ მაგიდაზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები d3 a2
- ერთი ფურცელი, მაკრატელი, ფანქარი

თქვენ უნდა შეუსაბამოთ სურათებიანი ბარათები რიცხვებიან ბარათებს.

1. აურიეთ სურათებიანი ბარათები და დააწყვეთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
2. ბავშვთან ერთად დაალაგეთ რიცხვები ისე, რომ გადათავსოთ ისინი ქაღალდზე მცირედიდან უდიდესების მიხედვით. ისაუბრეთ თითოეულ რიცხვზე, როდესაც ალაგებთ მათ თანმიმდევრულად. შემდეგ, როდესაც რიცხვების ხაზი შეივსება, წაახალისეთ ბავშვი, რომ გადმოწეროს რიცხვები ქაღალდზე, რათა შექმნას რიცხვების ხაზის წერილობითი ასლი თავსატეხის ბარათების ქვეშ.
3. აიღეთ სურათიანი ბარათი. ჩუმად დათვალეთ საგნების რაოდენობა და შემდეგ მიეცით მინიშნება მათი ჯამის შესახებ, გამოიყენოთ ხერხი - მეტია... მაგრამ ნაკლებია... და ნახეთ, იპოვის თუ არა ბავშვი რიცხვის ბარათს და ააწყობს თუ არა თავსატეხს.
4. რიგრიგობით აიღეთ სურათიანი ბარათი, სანამ ყველა წყვილი არ მოიძებნება.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის სიტყვების მნიშვნელობა - მანამდე/მერე, "მეტია" "ნაკლებია ვიდრე"
- ესმის რიცხვების მნიშვნელობა: 1-დან 12-მდე.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: რიცხვების დახარისხებისას დაიწყეთ 6-დან, რომ ყველა დანარჩენ რიცხვზე ილაპარაკოთ როგორც 6-ზე მეტი ან ნაკლები შემდეგ ისაუბრეთ იმაზე, თუ სად უნდა დადგეს ის რიცხვები ხაზზე, 6-მდე თუ 6-ის მერე.

ყურადღებით მოუსმინე და სმენითი სენდვიჩი: სურათიანი ბარათის აღებისას დამალეთ სხვებისგან მასზე გამოსახული სურათი, რათა შეძლოთ მასზე საუბარი მის ჩვენებამდე. ეს მეთოდი ააქტიურებს ტვინის აუდიტორულ ცენტრებს და ხელს უწყობს სმენის ყურადღებას. კარგი, ეხლა უნდა დავითვალო. კარგი, მე მყავს ქიანქველები. ისინი არიან 9-ზე მეტი .....მაგრამ 11-ზე ნაკლები. თუ ბავშვს ამ ცნებების გაგებაში დახმარება სჭირდება, გამოიყენეთ ჟესტი რიცხვითი ხაზის გასწვრივ და შემდეგ, სენდვიჩის დასრულებისთვის, მიაწოდეთ ინფორმაცია მხოლოდ მოსმენის საშუალებით.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს რიცხვებს: 1-დან 12-მდე.
- იყენებს სიტყვებს "-ზე მეტი" "ნაკლები ვიდრე".

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც დგება ბავშვის მოქმედების ჯერი, ამ აქტივობაში შეიძლება მოგიწიოთ შესაბამისი აზრის გამოსახატავად საჭირო სალაპარაკო ენის მოდელირება მანამ, სანამ ის არ შეძლებს სიტყვების დამოუკიდებლად თქმას და რიცხვების გამოცნობას. ჰმ, კი, ისინი მაიმუნები არიან. შენ ეს რიცხვები გონებაში უნდა დათვალო და მერე მისცე დედას მინიშნება. დაიწყე სამზე მეტიდან.

საბოტაჟი: განათავსეთ რიცხვებიანი ბარათები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, რათა გამოიყენონ სიტყვები, რომ მისცენ სხვებს მინიშვება და მიიღონ საჭირო ბარათი.

მოსალოდნელი შედეგები

- ამთხვევს საგნების რაოდენობას რიცხვთან.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: საგნების რაოდენობის რიცხვთან დამთხვევა უფრო რთული უნარია, ვიდრე რიცხვების დათვლა ან ამოცნობა. ისაუბრეთ ამაზეზ ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან, რათა ბავშმა გაიგონ სხვადასხვა უნარების შესახებ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით

1



2



3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით



1



2



3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით



1



2



3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით



1



2



3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით



1



2

3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით







© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით

1



2



3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით



4



5



6

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით







© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. თავსატეხი ბარათები რიცხვებით



10



11



12

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. საათი

მომზადება

ამობეჭდეთ ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1 ბატარა ბარათზე. ამოჭერით ისრები. ამოჭერით საათის ერთი ნახევრიდან თეთრი ფერის ცენტრი და მიაწებეთ ორი ნახევარი ერთმანეთზე. ამობეჭდეთ ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 რიცხვები ქაღალდზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3
- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 - რიცხვები
- მაკრატელი, წებო, საკინძი ჭიკარტი

თქვენ უნდა დაამზადოთ საათი.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით რიცხვები და ისაუბრეთ რიცხვებზე, ფერებზე და ფორმებზე, როგორც ამას აკეთებთ ხოლმე (1 დონისთვის თქვენ არ დაგჭირდებათ უფრო პატარა "წუთიანი" ციფერბლატი).
2. თანმიმდევრობით დაალაგეთ რიცხვები მაგიდაზე.
3. თითოეული რიცხვის საათზე დაწებებისას მიეცით ბავშვს მარტივი მითითებები.
4. გააკეთეთ ნახვრეტი ორივე ისრის ბოლოში და საათის ცენტრში და გამოიყენეთ საკინძი ჭიკარტი საათზე ისრების დასამაგრებლად.
5. შემდეგ შეგიძლიათ ითამაშოთ დასრულებული საათით, ისრების მოძრაობით და ისაუბროთ დროის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება ზმნის შემცველ მარტივ ინსტრუქციებს, მაგალითად: აქ გაჭერი, გადაატრიალე, აქ დააწებე, აიღე მეორე ცალი.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: მეთოდი "ყურადღებით მოუსმინე" მუშაობს როგორც ზმნებთან, ასევე არსებით სახელებთან. დარწმუნდით, რომ გამოიყენეთ საკუთარი სიტყვები იმის აღსაწერად, თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვმა საათების დამზადების პროცესის თითოეულ ეტაპზე. პირველ დონეზე მყოფი ბავშვი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ბოლო მოსმენილ სიტყვას. თუმცა, ეს არ არის ტიპიური პოზიცია ზმნებისათვის, ამიტომ გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება ზმნის გამოსაყოფად. გადმოატრიალე. აქ დააწებე.

სმენითი სენდვიჩი: მას შემდეგ, რაც მისცემთ მითითებას "ყურადღებით მოუსმინეს" მეთოდით, გამოიყენეთ ჟესტი ან მინიშნება, რათა დაეხმაროთ ბავშვს სიტყვების გააზრებაში. არ დაგავიწყდეთ კიდევ ერთხელ გაიმეოროთ მითითებები აუდიტორული სენდვიჩის შესასრულებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ზოგიერთ რიცხვს.
- ამბობს "სხვა" (ერთი).

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ხელსაქმის საქმიანობის გარშემო თავშეყრა უზრუნველყოფს საუკეთესო პოზიციიდან მოსმენას. შეახსენეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ახლოს დაჯდეს ბავშვის აუდიო პროცესორთან, რათა ყველამ ერთად იმუშაოს საათის დამზადებაზე.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ეს აქტივობა იძლევა სამიზნე სიტყვების აზრიანი გამეორების მრავალ შესაძლებლობას. ისაუბრეთ რიცხვების შესახებ როდესაც მათ ჭრით, როდესაც ალაგებთ თანმიმდევრობით, როდესაც იღებთ თითოეულს და შემდეგ აწებებთ. საათის დამზადების შემდეგ, შიგიძლიათ კვლავ ისაუბროთ რიცხვებზე.

მოსალოდნელი შედეგები

- იცის როგორ გააკეთოს საქმე თანმიმდევრულად.

ძირითადი სტრატეგია

საბოტაჟი და სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მაგიდაზე რიცხვების დალაგებით თქვენ ეხმარებით ბავშვს წესრიგის ან თამიმდევრობის აზრის გაგებაში. ეს ცნება განმტკიცდება საათის ისრის მიმართულებით საათზე რიცხვების თანმიმდევრობით დაწებებით. თქვენ შეგიძლია "შეცდომით" არასწორი რიცხვის აღება. სთხოვეთ მშობელს გამოიყენოს სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები, რათა მიიპყროს ბავშვის ყურადღება შეცდომაზე. დაიცადე, ეს არა. ეს არ არის შემდეგი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. საათი

მომზადება

ამობეჭდეთ ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1 ბატარა ბარათზე. ამოჭერით ისრები. ამოჭერით საათის ერთი ნახევრიდან თეთრი ფერის ცენტრი და მიაწებეთ ორი ნახევარი ერთმანეთზე. ამობეჭდეთ ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 რიცხვები ქაღალდზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3
- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 - რიცხვები
- მაკრატელი, წებო, საკინძი ჭიკარტი

თქვენ უნდა დაამზადოთ საათი.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით რიცხვები და ისაუბრეთ რიცხვებზე, ფერებზე და ფორმებზე, როგორც ამას აკეთებთ ხოლმე.
2. გადაწყვიტეთ, გსურთ თუ არა გამოიყენოთ პატარა "წუთიანი" ციფერბლატი და თუ გსურთ, ჩასვით ის შუაში.
3. თანმიმდევრობით დაალაგეთ რიცხვები მაგიდაზე.
4. მიეცით ბავშვს მითითებები თითოეული რიცხვის საათზე დაწებებისას.
5. გააკეთეთ ნახვრეტი ორივე ისრის ბოლოში და საათის ცენტრში და გამოიყენეთ საკინძი ჭიკარტი საათზე ისრების დასამაგრებლად.
6. შემდეგ შეგიძლიათ ითამაშოთ დასრულებული საათით, ისრების მოძრაობით და ისაუბროთ დროის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება ორ მარტივ მითითებას, რომელიც დაკავშირებულია სიტყვებით "და შემდეგ".

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: მეთოდი "ყურადღებით მოუსმინე" მუშაობს როგორც ზმნებთან, ასევე არსებით სახელებთან. დარწმუნდით, რომ გამოიყენეთ საკუთარი სიტყვები იმის აღსაწერად, თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვმა საათების დამზადების პროცესის თითოეულ ეტაპზე. გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება ზმნის გამოსაყოფად. იპოვე რიცხვი ერთი და შემდეგ გადმოატრიალე. წაუსვი წებო უკანა მხარეს და შემდეგ აქ დააწებე.

სმენითი სენდვიჩი: მას შემდეგ, რაც მისცემთ მითითებას "ყურადღებით მოუსმინეს" მეთოდით, გამოიყენეთ ჟესტი ან მინიშნება, რათა დაეხმაროთ ბავშვს სიტყვების გააზრებაში. არ დაგავიწყდეთ კიდევ ერთხელ გაიმეოროთ მითითებები აუდიტორული სენდვიჩის შესასრულებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს: ფერი + ფორმა. მაგალითად: ნარინჯისფერი სამკუთხედი.
- ამბობს: რიცხვი + საათი. მაგალითად: შვიდი საათი.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ხელსაქმის საქმიანობის გარშემო თავშეყრა უზრუნველყოფს საუკეთესო პიზიციიდან მოსმენას. შეახსენეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ახლოს დაჯდეს ბავშვის აუდიო პროცესორთან, რათა ყველამ ერთად იმუშაოს საათის დამზადებაზე.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ეს აქტივობა იძლევა სამიზნე სიტყვების აზრიანი გამეორების მრავალ შესაძლებლობას. ისაუბრეთ რიცხვების შესახებ როდესაც მათ ჭრით, როდესაც ალაგებთ თანმიმდევრობით, როდესაც იღებთ თითოეულს და შემდეგ აწებებთ. საათის დამზადების შემდეგ, შიგიძლიათ კვლავ ისაუბროთ რიცხვებზე.

მოსალოდნელი შედეგები

- იცის როგორ გააკეთოს საქმე თანმიმდევრულად.

ძირითადი სტრატეგია

საბოტაჟი და სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მაგიდაზე რიცხვების დალაგებით თქვენ ეხმარებით ბავშვს წესრიგის ან თამიმდევრობის აზრის გაგებაში. ეს ცნება განმტკიცდება საათის ისრის მიმართულებით საათზე რიცხვების თანმიმდევრობით დაწებებით. თქვენ შეგიძლია "შეცდომით" არასწორი რიცხვის აღება. სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს გამოიყენოს სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები, რათა მიიპყროს ბავშვის ყურადღება შეცდომაზე. დაიცადე, ეს არა. ეს არ არის შემდეგი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. საათი

მომზადება

ამობეჭდეთ ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა1 ბატარა ბარათზე. ამოჭერით ისრები. ამობეჭდეთ ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 რიცხვები ქაღალდზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3
- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა3 - რიცხვები
- მაკრატელი, წებო, საკინძი ჭიკარტი

თქვენ უნდა დაამზადოთ საათი.

1. ამოჭერით საათის ერთი ნახევრიდან თეთრი ფერის ცენტრი და მიაწებეთ ორი ნახევარი ერთმანეთზე.
2. დააწებეთ პატარა "წუთიანი" ციფერბლატი საათის შუაში.
3. ბავშვთან ერთად ამოჭერით რიცხვები და ისაუბრეთ რიცხვებზე, ფერებზე და ფორმებზე, როგორც ამას აკეთებთ ხოლმე.
4. თანმიმდევრობით დაალაგეთ რიცხვები მაგიდაზე.
5. მიეცით ბავშვს მითითებები თითოეული რიცხვის საათზე დაწებებისას.
6. გააკეთეთ ნახვრეტი ორივე ისრის ბოლოში და საათის ცენტრში და გამოიყენეთ საკინძი ჭიკარტი საათზე ისრების დასამაგრებლად.
7. შემდეგ შეგიძლიათ ითამაშოთ დასრულებული საათით, ისრების მოძრაობით და ისაუბროთ დროის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს "-მდე/შემდეგ"

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები და აკუსტიკური აქცენტირება: სიტყვები წინ და შემდეგ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმეს თანმიმდევრობაზე, როგორც წინა აქტივობაში, როდესაც რიცხვებს ერთ ხაზზე ალაგებდით: 3 არის 4-ის წინ. აქ შეგიძლიათ ხაზი გაუსვათ წინ და შემდეგ , როდესაც რამე მოქმედება ხდება თანმიმდევრობით. გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება სიტყვის "როდესაც" და ზმნის გამოსაყოფად. ჯერ ჩვენ გამოვჭრით რიცხვებს და მერე დავაწებებთ პატარა წრეს შუაში.

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები და სმენითი სენდვიჩი: მანამდე (სანამ, წინ, მდე) და შემდეგ - ძნელი გასაგებია, რადგან მათი გამოყენება ორი განსხვავებული გზით შეიძლება. ყველაზე მარტივი გზაა, როდესაც ორი ზმნური ფრაზა გამოითქმის იმავე თანმიმდევრობით, რომელშიც უნდა შესრულდეს მოქმედებები, მაგალითად მოდი ჯერ დავაწებოთ პატარა წრე შუაში სანამ გამოვჭრით რიცხვებს . თუ ბავშვს შეუძლია ამის გაკეთება, გადააბრუნეთ ზმნური ფრაზები და დაეხმარეთ იმის გაგებაში, რომ ფრაზა სანამ ჩვენ გამოვჭრით რიცხვებს, ჩვენ უნდა დავაწებოთ პატარა წრე შუაში აქვს იგივე მნიშვნელობა. იმისათვის, რომ დაეხმაროთ ბავშვს რაიმეს მარტივად გაგებაში, შეიძლება დაგჭირდეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვებისა და ჟესტების გამოყენება. დაიცადე! მე ვთქვი, ჯერ ჩვენ ამოვჭრით რიცხვებს , რომლებსაც მერე დავაწებებთ. ასე რომ, ეს პატარა წრე იქნება პირველი.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს რიცხვს + ფერს + ფორმას. მაგალითად: 2 ნარინჯისფერ სამკუთხედში.
- ამბობს ნახევარი (საათის). მაგალითად: სამის ნახევარი.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ხელსაქმის საქმიანობის გარშემო თავშეყრა უზრუნველყოფს საუკეთესო პიზიციიდან მოსმენას. შეახსენეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ახლოს დაჯდეს ბავშვის აუდიო პროცესორთან, რათა ყველამ ერთად იმუშაოს საათის დამზადებაზე.

გავრცობა და განგრძობა: მიაწოდეთ სასაუბრო ენის მოდელის გაფართოება ბავშვისთვის გასაგებ ენაზე, რათა შეძლოს შემდეგ ეტაპზე გადასვლის მცდელობა. თუ ბავშვი მარტივად საუბრობს ციფრებზე და ფერებზე, მას საშუალება აქვს დაამატოს მეტი ინფორმაცია, ისაუბროს საათის ნაწილების რაოდენობაზე, ფერზე და ფორმაზე.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს მნიშვნელობას: პირველი/ბოლო.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: საათის დამზადების შემდეგ, ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გააკეთეთ იგი „პირველი და ბოლო“ სიტყვების გამოყენებით. გაიხსენე, პირველი რაც ჩვენ გავაკეთეთ იყო ის, რომ დავაწებეთ საათის სამი ნაწილი ერთმანეთზე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. საათი





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. საათი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. საათი







აქტივობა

4. ფორმის მიხედვით დალაგება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4
- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 - დახარისხების დაფა
- მაკრატელი

თქვენ აპირებთ დახარისხების დაფაზე სურათების ფორმის მიხედვით დახარისხებას.

1. ბავშვთან ერთად მწკრივებად გამოჭერით სურათები. თითოეული ხაზი წარმოადგენს ერთი და იგივე ფორმის საგანს.
2. შეხედეთ თითოეულ ხაზს, ისაუბრეთ სურათებზე და იმაზე, თუ როგორ აქვთ ყველას ერთი და იგივე ფორმა.
3. მიუთითეთ დახარისხების დაფაზე არსებულ მსგავს ფორმებზე.
4. გამოჭერით სურათებიანი ზოლები ცალკეულ ბარათებად. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ გამოსახულებით ქვემოთ.
5. აიღეთ ერთი ბარათი. ისაუბრეთ სურათზე და შემდეგ მის ფორმაზე.
6. განათავსეთ დახარისხების დაფაზე სურათი, რომელზეც გამოსახულია იგივე ფორმა.
7. მორიგეობით აიღეთ ბარათი და ისაუბრე მასზე.

მოსალოდნელი შედეგები

- იწყებს ფორმების გაგებას. მაგალითად: წრე, კვადრატი, სამკუთხედი, მართკუთხედი.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ამ რესურსების გამოყენებით შეგიძლიათ ისაუბროთ საგნებზე და/ან ფორმებზე. თქვენ ასევე შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ რატომ ჰგვანან საგნები ერთმანეთს, რაც დაეხმარება ბავშვს ფორმის აღქმაში და ამოცნობაში და სიტყვებსი "იგივე" და "განსხვავებულის" გაგებაში.. მე მაქვს ღილი. ის მრგვალია. ნახე როგორ შემოვხაზე წრე მის ირგვლივ. ჩვენ შეგვიძლია აქ ჩავსვათ ეს პატარა წრე. ნახე, მათ ერთი და იგივე ფორმა აქვს. ხაზი მიდის მის ირგვლივ.

აკუსტიკური აქცენტირება: იმისათვის, რომ ბავშვი დაინტერესდეს და გააუმჯობესოს ახალი ინფორმაციის დამახსობრება, გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირის სხვადასხვა მეთოდი. ეს მოიცავს ისეთ ტექნიკას, როგორიცაა მნიშვნელოვანი სიტყვის ბოლოს დამატება, კონკრეტული სიტყვებისადმი ყურადღების მიპყრობა, ცოტა ხმამაღლა ან ნელა თქმა, სიტყვების წამღერება და ჩურჩულიც კი, აკუსტიკური ენერგიის შესაცვლელად.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზოგიერთ ფორმას. მაგალითად: წრე, კვადრატი, სამკუთხედი, მართკუთხედი.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: ვარიანტებიანი შეკითხვა აძლევს ბავშვს შესაძლებლობას, უპასუხოს კითხვას იმ სალაპარაკო ენის მოდელის გამოყენებით, რომელიც მან უშუალოდ პასუხის გაცემამდე უნდა გამოიყენოს. პირველ დონეზე მყოფი ბავშვებისთვის სწორი პასუხი ბოლოში გადაიტანეთ იმისათვის, რომ ადვილი იყოს მისი გაგება და დამახსოვრება. აბა შეხედე, სად უნდა დავდოთ ეს ორცხობილა, კვადრატზე თუ წრეზე ?

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: ფორმის სახელები რთული წარმოსათქმელი სიტყვებია. შეაქეთ ბავშვის მიერ სიტყვების წარმოთქმის ნებისმიერი მცდელობა და კვლავ გაიმეორეთ სამიზნე სიტყვა, რათა მან შეძლოს საკუთარი ნათქვამი თქვენს ნათქვამთან შედარება. დროთა განმავლობაში ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვები უფრო მკაფიო გახდება, რადგან ბავშვი ბაძავს უფროსების ნათქვამს და ცდილობს სიტყვების წარმოთქმის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ სამგანზომილებიანი ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე.

ძირითადი სტრატეგია

გავრცობა და განგრძობა: ბავშვები, როგორც წესი, თავიდან იწყებენ ორგანზომილებიანი ფორმების სახელების დამახსობრებას და მერე უკვე სამგანზომილებიანის. ამ აქტივობაში თქვენ ისაუბრებთ ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე და კონტურის ფორმაზე. რა თქმა უნდა ვიცით რომ ბურთი არის სფერო და არა წრე, ამიტომ გააფართოვეთ აქტივობა და მიაწოდეთ ბავშვს იდეა და სიტყვები, რათა შეადაროს ობიექტი და ფორმა ერთმანეთს. ეს ბურთი ჰგავს წრეს. მე შემიძლია მის ირგვლის წრე შემოვხაზო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ფორმის მიხედვით დალაგება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე.

რესურსები

- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4
- ფორმები და რიცხვები დ1 დ2 დ3 ა4 - დახარისხების დაფა
- მაკრატელი

თქვენ აპირებთ დახარისხების დაფაზე სურათების ფორმის მიხედვით დახარისხებას.

1. ბავშვთან ერთად მწკრივებად ამოჭერით სურათები. თითოეული ხაზი წარმოადგენს ერთი და იგივე ფორმის საგანს.
2. შეხედეთ თითოეულ ხაზს, ისაუბრეთ სურათებზე და იმაზე, თუ როგორ აქვთ ყველას ერთი და იგივე ფორმა.
3. მიუთითეთ დახარისხების დაფაზე არსებულ მსგავს ფორმებზე.
4. გამოჭერით სურათებიანი ზოლები ცალკეულ ბარათებად. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ გამოსახულებით ქვემოთ.
5. აიღეთ ერთი ბარათი. ისაუბრეთ სურათზე და შემდეგ მის ფორმაზე.
6. განათავსეთ დახარისხების დაფაზე სურათი, რომელზეც გამოსახულია იგივე ფორმა.
7. მორიგეობით აიღეთ ბარათი და ისაუბრე მასზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ცნობს ფორმებს. მაგალითად: სამკუთხედი, წრე, კვადრატი, მართკუთხედი.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ამ რესურსების გამოყენებით შეგიძლიათ ისაუბროთ საგნებზე და/ან ფორმებზე. თქვენ ასევე შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ რატომ ჰგვანან საგნები ერთმანეთს, რაც დაეხმარება ბავშვს ფორმის აღქმაში და ამოცნობაში და სიტყვებსი "იგივე" და "განსხვავებულის" გაგებაში.. მე მაქვს ღილი. ის მრგვალია.ნახე როგორ შემოვხაზე წრე მის ირგვლივ. ჩვენ შეგვიძლია აქ ჩავსვათ ეს პატარა წრე. ნახე, მათ ერთი და იგივე ფორმა აქვს. ხაზი მიდის მის ირგვლივ .

აკუსტიკური აქცენტირება: იმისათვის, რომ ბავშვი დაინტერესდეს და გააუმჯობესოს ახალი ინფორმაციის დამახსობრება, გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირის სხვადასხვა მეთოდი. ეს მოიცავს ისეთ ტექნიკას, როგორიცაა მნიშვნელოვანი სიტყვის ბოლოს დამატება, კონკრეტული სიტყვებისადმი ყურადღების მიპყრობა, ცოტა ხმამაღლა ან ნელა თქმა, სიტყვების წამღერება და ჩურჩულიც კი, აკუსტიკური ენერგიის შესაცვლელად.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზოგიერთ ფორმას. მაგალითად: წრე, კვადრატი, სამკუთხედი, მართკუთხედი.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: ვარიანტებიანი შეკითხვა აძლევს ბავშვს შესაძლებლობას, უპასუხოს კითხვას იმ სალაპარაკო ენის მოდელის გამოყენებით, რომელიც მან უშუალოდ პასუხის გაცემამდე უნდა გამოიყენოს. მეორე დონეზე მყოფი ბავშვისთვის, გამოყავით ორი საკვანძო სიტყვა თითოეულ ვარიანტებიან შეკითხვაში, რათა გაამრივოთ ბავშვის ორი სიტყვისგან შემდგარი პასუხი. აბა შეხედე. სად უნდა დავდოთ ეს ორცხობილა, კვადრატზე თუ წრეზე ?

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: ბავშვისთვის სალაპარაკო ენის მოდელის მიწოდება საშუალებას აძლევს მას შეადაროს მისი ნათქვამი თქვენსას. დროთა განმავლობაში ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვები უფრო მკაფიო გახდება, რადგან ბავშვი ბაძავს უფროსების ნათქვამს და ცდილობს სიტყვების წარმოთქმის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ სამგანზომილებიანი ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე

ძირითადი სტრატეგია

გავრცობა და განგრძობა: ბავშვები, როგორც წესი, თავიდან იწყებენ ორგანზომილებიანი ფორმების სახელების დამახსობრებას და მერე უკვე სამგანზომილებიანის. ამ აქტივობაში თქვენ ისაუბრებთ ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე და კონტურის ფორმაზე. რა თქმა უნდა ვიცით, რომ ბურთი არის სფერო და არა წრე, ამიტომ გააფართოვეთ აქტივობა და მიაწოდეთ ბავშვს იდეა და სიტყვები, რათა შეადაროს ობიექტი და ფორმა ერთმანეთს. ეს ბურთი ჰგავს წრეს. მე შემიძლია მის ირგვლივ წრე შემოვხაზო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ფორმის მიხედვით დალაგება

რესურსები

- ფორმები და რიცხვები d1 d2 d3 a4
- ფორმები და რიცხვები d1 d2 d3 a4 - დახარისხების დაფა
- მაკრატელი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე.

თქვენ აპირებთ დახარისხების დაფაზე სურათების ფორმის მიხედვით დახარისხებას.

1. ბავშვთან ერთად მწკრივებად ამოჭერით სურათები. თითოეული ხაზი წარმოადგენს ერთი და იგივე ფორმის საგანს.
2. შეხედეთ თითოეულ ხაზს, ისაუბრეთ სურათებზე და იმაზე, თუ როგორ აქვთ ყველას ერთი და იგივე ფორმა.
3. მიუთითეთ დახარისხების დაფაზე არსებულ მსგავს ფორმებზე.
4. გამოჭერით სურათებიანი ზოლები ცალკეულ ბარათებად. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ გამოსახულებით ქვემოთ.
5. აიღეთ ერთი ბარათი. მიეცით ფორმის შესახებ მინიშნება და ჩამოთვალეთ ის ფორმები, რომელიც მას არ ჰგავს. გამოიყენეთ წინადადების სტრუქტურა: ის არ ჰგავს … და არც … არ არის…
6. ნახეთ, შეძლებენ თუ არა სხვა მოთამაშეები ფორმის გამოცნობას. შემდეგ განათავსეთ დახარისხების დაფაზე სურათი, რომელზეც გამოსახულია იგივე ფორმა.
7. მორიგეობით აიღეთ ბარათი და ისაუბრე მასზე.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს უარყოფით ნაწილაკებს: არა/არც.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ამ რესურსების გამოყენებით შეგიძლიათ ისაუბროთ საგნებზე და/ან ფორმებზე, მაგრამ მესამე დონეზე მყოფი ბავშვის გამოსაცდელად შეგიძლიათ გააფართოვოთ მისი გაგების უნარი ისეთი რთული უარყოფითი სიტყვის მეშვეობით, როგორიცაა - არც. წინადადების სტრუქტურა: ის არ ჰგავს … და არც … არ არის… ეხმარება ბავშვს განაზოგადოს "არა" -ს მნიშვნელობა "არც"-ზე.

სმენითი სენდვიჩი: "ყურადღებით მოუსმინეს" მეთოდის შემდეგ შეგიძლიათ დაამატოთ ჟესტი, რათა აჩვენოთ დახარისხების დაფაზე არსებული ფორმები, რომლებიც გამოირიცხა თქვენი მინიშნებების შემდეგ, ხოლო შემდეგ გაიმეორეთ მინიშნება აუდიტორული სენდვიჩის შესასრულებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს უარყოფით ნაწილაკებს.
- საგნის აღსაწერად იყენებს სიტყვებს "ფორმის მსგავსს".

ძირითადი სტრატეგიები

გავრცობა და განგრძობა: მესამე დონეზე მყოფი ბავშვი სავარაუდოდ უკვე იყენებს უარყოფით ნაწილაკს "არა". შეცვალეთ მისი მინიშნებების ფორმულირება უფრო რთული "არც" სიტყვის გამოყენებით და სთხოვეთ, რომ კვლავ სცადოს მისი გამეორება.

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: ბავშვისთვის სალაპარაკო ენის მოდელის მიწოდება საშუალებას აძლევს მას შეადაროს მისი ნათქვამი თქვენსას, რთული წინადადების სტრუქტურის დამოუკიდებლად ფორმულირების საჭიროების გარეშე.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ სამგანზომილებიანი ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე

ძირითადი სტრატეგია

გავრცობა და განგრძობა: ბავშვები, როგორც წესი, თავიდან იწყებენ ორგანზომილებიანი ფორმების სახელების დამახსოვრებას და მერე უკვე - სამგანზომილებიანის. ამ აქტივობაში თქვენ ისაუბრებთ ობიექტის ორგანზომილებიან ხედზე და კონტურის ფორმაზე. რა თქმა უნდა ვიცით რომ ბურთი არის სფერო და არა წრე, ამიტომ გააფართოვეთ აქტივობა და მიაწოდეთ ბავშვს სალაპარაკო ენა შესადარებისთვის და მსგავსობისთვის. ეს ხე ჰგავს სამკუთხედს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. ფორმის მიხედვით დალაგება



ორცხობილა



ღილი

ბურთი

კამათელი

საჩუქარი

წიგნი

დროშა

პიცა

ხე

ტელეფონი



ფული

ტელევიზორი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. ფორმის მიხედვით დალაგება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. ფორმის მიხედვით დალაგება





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. ფორმის მიხედვით დალაგება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00370 1.0